

ოქმი № 2**ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის
სხდომის**

2019 წელი, 14 თებერვალი

ქ.ოზურგეთი

16.00-17.00 საათი

თავმჯდომარეობდა: გ.ჩაგანავა - მუდმივმომქმედი კომისიის თავმჯდომარე
ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: ვ.ბერიძე, ალ.დლონტი, გ.ჩავლეშვილი,
მ.ბერიძე, ბ.თოიძე, ტ.აროშიძე, გ.ჩავლეშვილი.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 დეკემბრის N32
დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ.

მომხსენებელი: გ.ჩაგანავა

2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-
სამეურნეო დანისნულების მიწის ნაკვეთის ნორმატიული ფასის დადგენის
შესახებ.

მომხსენებელი: გ.ჩაგანავა

3. საქართველოში იაპონიის საელჩოსა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტს შორის,
გრანტის გადაცემის თაობაზე, გასაფორმებელი ხელშეკრულების შეთანხმების
შესახებ.

მომხსენებელი: გ.ჩაგანავა

სხდომის თავმჯდომარემ გ.ჩაგანავამ ვრცლად ილაპარაკა
მუნიციპალიტეტის 2020 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებებისა და
დამატებების შეტანის თაობაზე, კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი
დაუჭირეს პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად წარდგენას.
იმსჯელეს და ასევე მხარი დაუჭირეს მერიის მიერ წარმოდგენილ საკრებულოს
ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების პროექტებს: „ოზურგეთის

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“ და „საქართველოში იაპონიის საელჩოსა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტს შორის, გრანტის გადაცემის თაობაზე, გასაფორმებელი ხელშეკრულების შეთანხმების შესახებ“.

გადაწყვიტეს :

დამტკიცდეს კომისიის დასკვნა (თან ერთვის) და მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილი საკრებულოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების პროექტები: „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 დეკემბრის N32 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“; „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“ და „საქართველოში იაპონიის საელჩოსა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტს შორის, გრანტის გადაცემის თაობაზე, გასაფორმებელი ხელშეკრულების შეთანხმების შესახებ“ წარდგენილ იქნას საკრებულოს მომდევნო სხდომაზე განსახილველად.

გიორგი ჩაგანავა

კომისიის თავმჯდომარე
საფინანსო-საბიუჯეტო კომისია

